ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N6

16.01.2018

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

11:00 საათი

ოთახი 2-01

მიმდინარე წლის 16 იანვარს, 11:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი) დავით რურუა (კომისიის წევრი) და მარინა დათუკიშვილი (კომისიის წევრი) .

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამდივნოს, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აპარატის, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 7 (შვიდი) წევრის დასწრებით.
სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე**.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვა (12-0318012172-03, 12.01.2018) **(მომხსენებელი - სერგო ბირკაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი).
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვა (12-0318012172-03, 12.01.2018) **(მომხსენებლები - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, **სერგო ბირკაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი).
3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვა (12-0318012172-03, 12.01.2018) **(მომხსენებლები - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, **სერგო ბირკაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი).

4. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვა (12-0318012172-03, 12.01.2018) **(მომხსენებლები - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, **სერგო ბირკაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი).

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სერგო ბირკაძე- მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარმოადგინა დადგენილების პროექტი *„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“*, პროექტის მიღების საფუძველია ქალაქ თბილისის მერიის სისტემაში განხორციელებული რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის შედეგად ორი საქალაქო სამსახურის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურის და განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურების გაერთიანებით იქმნება ქ.თბილისის *მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.* ფუნქციური თვალსაზრისით სამსახურების გაერთიანებით მნიშვნელოვანი ცვლილება არ იგეგმება და ყველა პროგრამები, რაც განათლების, სპორტის, ახალგაზრდული და კულტურული მიმართულებითაა გაწერილი ბიუჯეტში მიმდინარე წელს განხორციელდება.

გიორგი ჩაკვეტაძე - საორგანიზაციო განყოფილება, რომელიც იყო კულტურის საქალაქო სამსახურის შემადგენლობაში გადადის მერიის ადმინისტრაციის კომპეტენციაში. აღნიშნული სამსახურის მოდიფიკაცია იქნება შემდგომი: საქალაქო სამსახურის უფროსს ეყოლება სამი მოადგილე. ასევე კულტურის ობიექტების მართვისა და დაგეგმარების განყოფილება იარსებებს შესაბამისი საშტატო ნუსხით. კულტურული პროექტებისა და პროგრამების განყოფილება რაც იყო კულტურის სამსახურში, ხოლო განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურიდან იქმნება ორი ძირითადი განყოფილება, რაც იმეორებს სამინისტროს მოდიფიკაციას, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება შვიდი საშტატო ერთეულით განყოფილების ხელმძღვანელის ჩათვლით, ხოლო სპორტის განყოფილება ხუთი საშტატო ერთეულით განისაზღვრა. ორივე საქალაქო სამსახურში ფუნქციონირებდა მონიტორინგისა და შეფასების განყოფილება, რომელიც აღნიშნული შერწყმიდან გამომდინარე გაერთიანდება და განისაზღვრება ათი საშტატო ერთეულით, აღნიშნული განყოფილება განახორციელებს ოთხივე სფეროს მონიტორინგს, მაგალითად სპორტის ნაწილში მწვრთნელთა ხელშეწყობის პროგრამის, ხოლო კულტურის ნაწილში შესაბამის მონიტორინგს, არცერთი მიმართულებით მცირე ცვლილებაც კი არ შეინიშნება, რომ ვისაუბროთ რომელიმე მიმართულების დაკნინებაზე. თუმცა ჩვენ კომისიურ რეჟიმში დაველოდებით ბიუჯეტის კვარტალურ, ან შემდგომ რედაქტირებას, თუ ასეთი მოხდება. დავაკვირდებით სპორტის და ახალგაზრდულ ნაწილში, მიმდინარე პროცესებს და კომისიის, ფრაქციის და ბიუროს კუთხით ვიმუშავებთ, რომ ჩვენი მიმართულებებით არ მოხდეს ბიუჯეტის შემცირება, რადგან ამოსავალი წერტილი მიმართულებაში წარმატების მიღწევისა სწორედაც, რომ ფინანსური ნაწილია. პრიორიტეტული მიმართულების დაკნინების არანაირი ნიშანი ამ ეტაპზე არ შეინიშნება.

აზრი გამოთქვეს:

შალვა ოგბაიძე - დაინტერესდა სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიებების ორგანიზებას, რომელი უწყება განახორციელებს.

სერგო ბირკაძე-მერიის ადმინისტრაცია იქნება საორგანიზაციო საკითხების მოდერატორი, თუმცა ეს არ გამორიცხავს საქალაქო სამსახურებში იდეების გენერირებას და ჩართულობას შესაბამის ღონისძიებებში, თუმცა მენეჯმენტის უზრუნველყოფა და ერთ ქუდში მოქცევა მოხდება მერიის ადმინისტრაციაში.

გიორგი ჩაკვეტაძე- დაინტერესდა საორგანიზაციო განყოფილება, რომელიც გამოეყო არსებულ კულტურის სამსახურს და ადმინისტრაციაში გადავიდა, სახელსაც ხომ არ შეიცვლის.

სერგო ბირკაძე- ადმინისტრაციაში უკვე არსებულ მსგავსი ფუნქციების მქონე განყოფილებას შეუერთდება კულტურის საქალაქო სამსახურიდან გამოყოფილი ღონისძიებების მართვის ნაწილი თავისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა :

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (12-0318012172-03, 12.01.2018) საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით ჭელიძე, დავით რურუა და შალვა ოგბაიძე (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - მარინა დათუკიშვილი (1)) ;

ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (12-0318012172-03, 12.01.2018) დადგენილების პროექტი გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს (დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი);

სერგო ბირკაძე - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების-ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით წარმოდგენილი სტრუქტურული ცვლილებები განპირობებულია სისტემური და ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში რეორგანიზაციის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით. პროექტის შესაბამისად, რაიონის გამგებელს ეყოლება 3 (სამი) მოადგილე, როგორც არის დღევანდელი მდგომარეობით. დედაქალაქის რაიონის გამგეობებში იქნება 11 (თერთმეტი) ტიპური განყოფილება, ნაცვლად 12-ისა (თორმეტი), უქმდება რაიონის გამგეობის მომსახურების განყოფილება. ზოგიერთ განყოფილებას ეცვლება სახელწოდება, კერძოდ, რაიონის გამგეობის კულტურის, სპორტისა და განათლების განყოფილება-რაიონის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილებით, რაიონის გამგეობის სოციალური განყოფილება-რაიონის გამგეობის სოციალური პროექტების განყოფილებით და სხვა.

ძალადაკარგულად ცხადდება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის აპარატისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების-ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წ. 22 მაისის N12-47 დადგენილება.

გიორგი ჩაკვეტაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების რეორგანიზაციის შედეგად და კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდული სამსახურის ახალი სახელწოდებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ რაიონის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების დასახელებას ჩაემატოს სიტყვა **„განათლება“** და განყოფილების სახელწოდება ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

„კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება“.

რაც შეეხება რაიონის გამგეობების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების დებულების პროექტს, მასში შეტანილი ცვლილებები განპირობებული იქნება მხოლოდ განყოფილების სახელწოდების ცვლილებიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა : „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ (12-0318012172-03, 12.01.2018) საკითხი. (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე,

ავთანდილ ცინცაძე, დავით ჭელიძე, დავით რურუა და შალვა ოგბაიძე (6), წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - მარინა დათუკიშვილი (1)) ;

ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ (12-0318012172-03, 12.01.2018) დადგენილების პროექტი გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად ზემო აღნიშნული წინადადების გათვალისწინებით.

მოისმინეს (დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი);

გიორგი ჩაკვეტაძე- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“, სამსახურების გაერთიანებით, სამსახურში საშტატო ერთეულების ჯამური რაოდენობა იცვლება და განისაზღვრება 40 ერთეულით. სამსახურს ეყოლება 3 მოადგილე და 5 (ხუთი) განყოფილება, სამსახურის განყოფილებებში მომუშავეთა რიცხოვნობა განსხვავებულია მოქმედი საშტატო ნუსხისგან, რაც გამოწვეულია სამსახურების შერწყმით, ცალცალკე, კულტურის საქალაქო სამსახური შედგებოდა 4 (ოთხი) განყოფილებისგან და 26 (ოცდაექვსი) თანამშრომლისგან, ხოლო განათლების სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური 5 (ხუთი) განყოფილებისგან და 25 (ოცდახუთი) თანამშრომლისგან, ოპტიმიზაციის შედეგად გაერთიანებულ სამსახურს ეყოლება 11 საშტატო ერთეულით ნაკლები.

სერგო ბირკაძე- რეორგანიზაციის მიზანი არაა თანამშრომლების შემცირება, არამედ მიმდინარეობს კანონით განსაზღვრული რეფორმა სისტემის მოქნილობისა და ერთიანი მენეჯერული სტანდარტის შემუშავების მიზნით, აქედან გამომდინარე ხდება ერთი მენეჯმენტის ქვეშ გაერთიანება საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით მომუშავე კადრების, უქმდება განყოფილების მოადგილის შტატი, ასევე კულტურის საქალაქო სამსახურიდან მერიის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში გადადის ღონისძიებების მართვის ფუნქცია.

აზრი გამოთქვეს:
მარინა დათუკიშვილი-როგორც სამინისტროების და მუნიციპალიტეტის მიერ მოხდა აღნიშნული მიმართულებების გაერთიანება, მიზანშეწონილად ხომ არ მიგაჩნიათ გაერთიანება მოხდეს საკრებულოს კომისიებში და ქამრების შემოჭერის პოლიტიკა აქაც განხორციელდეს.

გიორგი ჩაკვეტაძე-აღნიშნული მიმართულებების პრიორიტეტულობიდან და ბიუჯეტის მოცულობიდან გამომდინარე, ქალბატონი მარინას პოზიცია საფუძველს მოკლებულია. სამინისტროებში მიმდინარე რეორგანიზაციის საფუძველზე არ მომხდარა ცვლილებები თუნდაც პარლამენტის კომიტეტებში, ის რომ აღმასრულებელ ნაწილში მენეჯმენტის ერთი ქოლგის ქვეშ მოქცევა ხდება არ ნიშნავს, რომ საკანონმდებლო მიმართულებითაც უნდა მოხდეს მსგავსი დუბლირება. შეგვიძლია გავიხსენოთ 2014 წლამდე მერიაში არსებული სამსახური, რომელიც შეიცავდა ჯანდაცვისა და სოციალურ მიმართულებებსაც, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებთან ერთად და მაშინაც მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამიჯნული იყო კომისიები. ასევე გვაქვს საკრებულოში რამდენიმე კომისია, რომელსაც მერიის სტრუქტურაში არ ჰყავს იდენტური ანალოგი. მეტიც, საკრებულოს აქვს ფუნქცია განსაზღვროს კონკრეტული პოლიტიკა და განახორციელოს მისი შესრულების ზედამხედველობა. შესაბამისად, აღმასრულებელ ნაწილში რაიმეს გაერთიანება საკრებულოში იმავეს არ იწვევს. კანონმდებლობით თბილისის საკრებულოსთვის დადგენილია 11 მუდმივმოქმედი კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (12-0318012172-03, 12.01.2018) საკითხი. (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით ჭელიძე, დავით რურუა და შალვა ოგბაიძე (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - მარინა დათუკიშვილი (1)) ;

ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (12-0318012172-03, 12.01.2018) დადგენილების პროექტი გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს (დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი);

სერგო ბირკაძე- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“, გამგეობის სტრუქტურაში შტატების რაოდენობა ძირითადად იგივე ოდენობით რჩება, უქმდება მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება, რომელიც უნდა შეუერთდეს „მუნიციპალური სერვისების მართვის სააგენტოს“, აღნიშნულის მიზანია მოქალაქეთა მომსახურების ერთიანი ცენტრალიზებული მექანიზმის შექმნა.

გიორგი ჩაკვეტაძე-რაიონის გამგეობებში კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის განყოფილებებში საშტატო ნუსხის რაოდენობა იზრდება მხოლოდ ერთი ერთეულით, კერძოდ იყო 28 (ოცდარვა) ერთეული, გახდა 29 (ოცდაცხრა), საბურთალოს რაიონის ამავე განყოფილებას დაემატა ერთი შტატი. თუმცა ზოგიერთი რაიონის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილებაში მოხდა შტატების ცვლილება. გლდანის და კრწანისის რაიონების ამავე განყოფილებებს თითო ერთეულით გაეზარდათ შტატები, ხოლო დიდუბის და მთაწმინდის რაიონების განყოფილებების შტატების რაოდენობა შემცირდა თითო ერთეულით. იგივე დარჩა ჩუღურეთის რაიონის ამავე განყოფილების შტატების რაოდენობა, იყო 2 (ორი) შტატი და დარჩა 2 (ორი). **მიგვაჩნია, რომ მართებული იქნება ყველა რაიონული გამგეობებმა უზრუნველყონ, რომ კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების საშტატო ნუსხა არანაკლებ სამი ერთეულით დაკომპლექტდეს, განყოფილების უფროსი და ორი შესაბამისი რანგის მოხელე (სპეციალისტი).**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების (12-0318012172-03, 12.01.2018) საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით ჭელიძე, დავით რურუა და შალვა ოგბაიძე (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - მარინა დათუკიშვილი (1)) ;

ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვა (12-0318012172-03, 12.01.2018) დამტკიცების საკითხი და მხარი დაუჭირეს აღნიშნულის საკრებულოს სხდომაზე გატანის გადაწყვეტილებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ჩაკვეტაძე